გათავისუფლდეს ბაკურ დავითის ძე გულშა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მრეწველობის, ენერგეტიკის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბაზულობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე პაბაკი ასამიანი.

თბილისი, 1991 წლის 15 სექტემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**667** გ. დ. გულუას საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინის-  
ტრის მოადგილედ დაიცვნის უსახელი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

თანხმობა მიეცეს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ბაკურ და-  
ვითის ძე გულუას საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგი-  
ლედ დანიშვნაზე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე პაპაკი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 15 სექტემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**668** გ. მ. ხოშტარიას საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმე-  
მინისტრის თანამდებობიდან გათავისუფლებას

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

თანხმობა მიეცეს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს გიორგი მე-  
თოდეს ძე ხოშტარიას საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინის-  
ტრის თანამდებობიდან გათავისუფლებაზე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე პაპაკი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 15 სექტემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაშიდ საგვოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

669 თ. ი. ციგუას საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმ-  
ჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაშიდ საბჭო ადგენს:

თანხმობა მიეცეს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს თენციზ იპო-  
ლიტეს ქე სიგუას საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის  
თანამდებობიდან გათავისუფლებაზე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაშიდ საბჭოს თავმჯდომარე პატარი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 15 სექტემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაშიდ საგვოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

670 მ. მ. ომანიძის საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდ-მინისტრის  
პირველ მოაღილედ და საგარეო საქმეთა მინისტრად დანი-  
შვერის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაშიდ საბჭო ადგენს:

თანხმობა მიეცეს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს მურმან მე-  
ლიტონის ქე ომანიძის საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის პირ-  
ველ მოაღილედ და საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნაზე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაშიდ საბჭოს თავმჯდომარე პატარი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 15 სექტემბერი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენავის საბჭოს

დ ა ღ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**671** ო. 3. ჩვილითადას საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის  
თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან გათავისუფლების  
შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

თანხმობა მიეცეს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ოთარ ვლა-  
დიმერის ძე ქვილითადას საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდო-  
მარის მოადგილის თანამდებობიდან გათავისუფლებაზე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბაბაკი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 15 სექტემბერი.

## საქართველოს რესპუბლიკის კანონი

**672** „საქართველოს რესპუბლიკის უზენავის საბჭოს წევრის გარ-  
ეგის წესი უსახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის  
27 თებერვლის კანონი ცვლილებებისა და დამატებების შეთანის  
თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

I. შეტანილ იქნეს „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევ-  
რის გარევის წესის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 27  
თებერვლის კანონში შემდეგი ცვლილებები:

1. კანონის პირველ ნაწილს (ზოგადი დებულებები) დაემატოს შემდეგი  
შინაარსის მე-7 ნაწილი:

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების საქმიანობის შეწყვეტის (აკრ-  
ძალვის, თვითონიკიზაციის) შემთხვევაში მისი პარტიული სია უქმდება, ხო-  
ლო უზენაეს საბჭოში ამ სიით (პროპორციული და მაჟორიტარული წესით) არ-  
ჩეული დეპუტატების უფლებამოსილება უზენაესი საბჭოს მიერ შეიძლება  
შეჩერდეს ერთ თვეში გადით მათი უფლებამოსილების საკითხის გადაწყვე-  
ტადე.

2. კანონის მე-6 მუხლში სიტყვა „თვითლიკვიდაციის“ შეიცვალოს სიტ-  
ყვებით „საქმიანობის შეწყვეტის (აკრძალვის, თვითლიკვიდაციის)“.

II. ეს კანონი ძალაშია მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 15 სექტემბერი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზრუნველის საგაოცენის საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

1991 წლის 2 სექტემბერს ქ. თბილისში მოედანზე მოხდა  
**673** ხდარი ფაქტის შესახებ

ამა წლის 2 სექტემბერს ქ. თბილისში რუსთაველის მოედანზე მოხდა შეტაკება მიტინგის მონაწილეებსა და მილიციის ნაწილს შორის, რომლის შეტაკებაც დაშავდნენ როგორც მომტინებები, ასევე მილიციის მუშაკები.

ითვალისწინებს რა ადამიანის უფლებათა დაცვისა და დემოკრატიის აღიარებული პრინციპების მოთხოვნებს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ამ ფაქტს მიიჩნევს ქართველი ერის ონტერესების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულად და აქედან გამომდინარე ადგენს:

1. დაიგმოს ამა წლის 2 სექტემბერს ქ. თბილისში რუსთაველის მოედანზე ჩიტინგის დროს ძალის გამოყენების ფაქტი.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ ამ ფაქტის გამო ქ. თბილისის პროექტარულამ აღძრა სისხლის სამართლის საქმე და აწარმოებს გამომძიებას.

3. მომხდარი ფაქტის გარემობათა ყოველმხრივი შესწავლისა და სათანადო დასკვნების გამოტანის მიზნით შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კომისია ყველა რეგისტრირებული პარტიის, აგრეთვე საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

4. კომისიამ თავისი დასკვნები წარუდგინოს უზენაეს საბჭოს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაპი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 15 სექტემბერი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზრუნველის საგაოცენის საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**674** საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზრუნველის საგაოცენის მიზანი და მიზანი 1991 წლის 15 სექტემბრის სხდომის ტარევითი გადაცემის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს.

დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო დეპარტამენტს ტელევიზიით მთლიანად გადასცეს საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს მეორე სესიის 1991 წლის 15 სექტემბრის სხდომის ჩანაწერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაპი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 15 სექტემბერი.

(19 სექტემბერი)

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ი ნ ი ლ ე ბ ა

**ლია ანდოულაძის, გიორგი მარჯანიშვილისა და კანდიდ კვი-  
675 ციანის სადაც უზღვრათო უფლებამოსილების ცენტრის ზესახებ**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ საქა-  
რთველოს რესპუბლიკის კანონის 61-ე მუხლის შესაბამისად საარჩევნო ბლო-  
კმა „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“ პროპორციული წესით  
არჩეული დეპუტატების ინსებ ბარათაშვილისა (№ 141) და თამაზ გუგუშვი-  
ლის (№ 173) ნაცვლად (რომლებსაც შეუწყდათ სადეპუტატო უფლაბამოსი-  
ლება) პარტიული სიიდან შეარჩია დეპუტატობის კანდიდატები ლია ანდოუ-  
ლაძე და გიორგი მარჯანიშვილი.

მესტიის № 97-ე საარჩევნო ოლქში მაკორიტარული წესით არჩევნებისას  
გაიმარჯვა დეპუტატობის დამოუკიდებელმა კანდიდატმა კანდიდ კვიციანმა.

ცენტრალური საარჩევნო კომისიიდან შემოსული საბუთების საფუძველზე  
სამანდატო და დეპუტატის ეთიკის მუდმივი კომისიის წინადადებაა ცნობილ  
იქნეს ლია ანდოულაძის, გიორგი მარჯანიშვილისა და კანდიდ კვიციანის სადე-  
პუტატო უფლებამოსილება.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

ცნობილ იქნეს ლია ანდოულაძის, გიორგი მარჯანიშვილისა და კანდიდ  
კვიციანის სადეპუტატო უფლებამოსილება.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე პაპაკი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 19 სექტემბერი.

განცოცილება მისამი

**676 გაეროს გენერალური მდივანი პატონ პერეს დე კუელიარს**

ბატონი გენერალურო მდივანი!

ბოლო წლებში აღმოსავლეთ ეკროპასა და საბჭოთა კავშირში განვითარე-  
ბულმა მოვლენებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს ამ ქვეყნებში მცხო-  
ვრები ხალხების ბედზე.

საბჭოთა კავშირის ზოგიერთ რესპუბლიკაში გაშლილმა დემოკრატიულმა  
მოძრაობებმა დღის წესრიგში დააყენა იმ სახელმწიფოების დამოუკიდებლო-  
ბის აღდგენის საკითხი, რომლებიც თავის დროზე ძალით იყვნენ შეყვანილი  
საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში.

1991 წლის 19-21 აგვისტოს პუტჩის მარცხმა კიდევ ერთხელ დაადასტურა დემოკრატიული პროცესების შეუძლევადობა ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, რისი დამადასტურებელიც გახდა ბალტის რესპუბლიკების დამოუკიდებლობის ცნობა როგორც საბჭოთა კავშირის, ისე მსოფლიოს სხვა ქვეყნების მიერ.

საქართველო ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, სადაც მძლავრად გაიშალა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. 1990 წელს ჩატარებული მრავალპარტიული ორჩევნების შემდეგ ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ დემოკრატიული ძალები. 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმმა ნათლად დაადასტურა საქართველოს მოსახლეობის სწრაფვა, იღედგინა დამოუკიდებელი სახელმწიფო. მა იდეას მხარი დაუჭირა საქართველოს მოსახლეობის 90-მა პროცენტმა. შეგახსენებთ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლებში აღიარა 20-მდე ქვეყანამ. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები მონაწილეობას იღებდნენ ერთა ლიგის მუშაობაში. 1921 წელს ერთა ლიგის სხდომაზე ბალტის რესპუბლიკებთან ერთად მა ორგანიზაციაში საქართველოს მიღების საკითხიც იდგა. მაშინ ჩვენმა რესპუბლიკამ ორჯერ უფრო მეტი ხმა მიიღო, ვიდრე ბალტის რესპუბლიკებმა, რაც საქართველოს საერთაშორისო პროტეტოტის ზრდაზე მიუთითებდა; მაგრამ 1921 წლის 25 თებერვლის ანექსიამ შეაჩერა საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების პროცესი.

ქართველ ხალხს არასოდეს შეუწყვეტია თავისუფლებისათვის ბრძოლა. 1924 წლის აგანგების ჩახშობა, 30-იანი და 50-იანი წლების მასობრივი რეპრესიები, 70-იან-80-იან წლებში ქართული დისიდენტური მოძრაობა და ბოლოს, — 1989 წლის 9 აპრილი არის არასრული სია მა უბედურებებისა, რაც ქართველმა ხალხმა გადაიტანა ბრძოლის მა ტანკულ გზაზე. 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს პარლამენტმა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით გამოაცხადა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა.

ბოლო ხანებში გაეროს როლი განსაკუთრებით გაიზარდა. ეს საერთაშორისო ორგანიზაცია დღეს წარმოადგენს სახელმწიფოთაშორის ურთიერთობაში საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცვის გარანტის, რისი დამადასტურებელიც არის მისი წვლილი ერაყ-ქუვეიტის კონფლიქტის მოვარებაში. ასეთ ვითარებაში ჩვენ გამოვთვამთ იმედს, რომ გაერო გულისხმიერებით მოეკიდება საქართველოს ხელისუფლების თხოვნას ჩვენი სახელმწიფოს მა ორგანიზაციაში მიღების შესახებ. ჩვენი მხრიდან ვაცხადებთ, რომ საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობა მტკიცედ ადგის დემოკრატიის გზას. საქართველოს პარლამენტი შეუერთდა აღამინის უფლებათა დეკლარაციას, ჰელსინკის ხელშეკრულების დასკვნით აქტს და სხვა საერთაშორისო დოკუმენტებს. გაეროში საქართველოს შესვლა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელ კავკასიის რეგიონში მშვიდობის განმტკიცებას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საგანგადო სამინისტროს პრეზიდიუმის

მ ი მ ა რ თ ვ ა

**677** საქართველოს მოსახლეობას, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ გრივ მოგანიჭებივას

ქვეინი ქვეყნისათვის ურთულეს დროს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი მიმართავს საქართველოს მოსახლეობას და ყველა პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციას გამოვიჩინოთ პასუხისმგებლობის გრძნობა ჩვენი სამშობლოსათვის ამ ურთულეს დროს და ვეცადოთ მის გადარჩენას საუკუნო სირცევილისაგან. უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი აცხადებს, რომ იგი მთლიანად ეთანხმება სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის სამშვიდობო წინადაღებას და მოუხმობს ყველას ყურად ვილოთ ერის სულიერი მოძღვრის მოწოდება თავის მხრივ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ყველა ღონეს იხმარს ამ მოწოდების განსახორციელებლად.

ღმერთი იყოს ჩვენი სამშობლოს მფარველი!

თბილისი, 1991 წლის 22 სექტემბერი.

ტექნიკური მიზეზების გამო ეს მასალა  
ამოღარდნილია № 3 უწყებიდან

### საქართველოს რესპუბლიკის კანონი

საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო და ადგინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენის:

I. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსს (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., № 1, მუხ. 10):

1. დაემატოს შემდეგი შინაასის 86<sup>1</sup>, 242<sup>2</sup>, 242<sup>4</sup> და 242<sup>5</sup> მუხლები:  
„მუხლი 86<sup>1</sup>. საქართველოს რესპუბლიკის საპატიო სივრცის გამოყენების წესების დარღვევა

საქართველოს რესპუბლიკის საპატიო სივრცის გამოყენების წესების დარღვევა საპატიო ხომალდის მართვისას იმ პირების მიერ, რომლებიც არ არიან საპატიო ტრანსპორტის მუშაკები, რაკეტების გაშვებისას, კველანაირი სახის სროლის, ასაფერთქებელი სამუშაოების წარმოებისას ან სხვა საქმიანობისას, რაც დაკავშირებულია მატერიალური ობიექტების საპატიო სივრცეში აზიდვასთან, გადაადგილებასა ან გაშვებასთან და რამაც გამოიწვია უბედური შემთხვევები ან სხვა მძიმე შედეგი, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ათ წლამდე.

იგივე ქმედება, რამაც არ გამოიწვია, მაგრამ შინასწარ შეცნობით ქმნიდა ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შედეგის დადგომის საფრთხეს, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე.

„მუხლი 242<sup>3</sup>. სატრანსპორტო კომუნიკაციების ბლოკირება

სატრანსპორტო კომუნიკაციების განზრას ბლოკირება დაბრკოლებების, საგუშავების მოწყობის გზით ან სხვა ხერხით, რამაც შეაფერხა ან შეეძლო გმოეწვია რკინიგზის, საპატიო, წყლის, საავტომობილო და მაგისტრალური მილსადენი ტრანსპორტის ნორმალური მუშაობის შეფერხება, —

ისჯება ჯარიმით ათას მანეთმდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე, ან თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

იგივე ქმედება, რასაც თან სდევს ადამიანის სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა, ან ჩადენილია განმეორებით, ან პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, ან დაკავშირებულია ტვირთის, ბარგის უკანონობის გასინჯვასთან ან დოკუმენტების შემოწმებასთან, —

ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთიდან ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ოთხ წლამდე.

ამ მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გამოიწვია უბედური შემთხვევები, ან სხვა მძიმე შედეგები, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან თხუთმეტ წლამდე.

**მუხლი 242<sup>4</sup>.** ტრანსპორტის მუშავის იძულება

რკინიგზის, საპარკო, წყლის, სავტომობილო ან სხვა სახის ტრანსპორტის მუშავის იძულება არ შეასრულოს თავისი სამსახურებრივი მოვალეობა ამ მუშავის ან მის ახლო ნათესავთა მოკვლის, სხეულის მძიმე დაზიანების, ან ქონების განადგურების მუქარით, —

ისჯება ჭარიმით ხუთას მანეთამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე, ან თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

იგივე მოქმედება, ჩადენილი განმეორებით ან პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, —

ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

**მუხლი 243<sup>5</sup>.** ტელერადიომაუწყებლობისა და კავშირგაბმულობის დაწესებულებათა ბლოკირება

საქართველოს რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტის და საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს სატელევიზიო და რადიოპროგრამების მომზადებისა და მაუწყებლობის ობიექტების, კავშირგაბმულობის რაიონული და საქალაქო კვანძების, ცენტრალური ტელეგრაფის ბლოკირება დაბრკოლებების შექმნით, პიკეტირებით ან სხვა ხერხით, რამაც შეაფეხხა ან შეეძლო გამოეწვია ამ ობიექტებისა და დაწესებულებათა ნორმალური მუშაობის შეფერხება, —

ისჯება ჭარიმით თასა მანეთამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

იგივე ქმედება, რასაც თან სდევს ადამიანის სიცოცხლის ან ჭანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა, ან ჩადენილია განმეორებით, ან პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, —

ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთიდან ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხ წლამდე.

ამ მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გამოიწვია უბედური შემთხვევა ან სხვა მძიმე შედეგი,

— ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან თხუთმეტ წლამდე“.

2. მუხლი 242<sup>2</sup> ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 242<sup>2</sup>. რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის, საპარკო, საზღვაო ან სამდინარო ხომალდის გატაცება, სატრანსპორტო დაწესებულებისა თუ ტელრის ხელში ჩაგდება

რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის, საპარკო, საზღვაო ან სამდინარო ხომალდის გატაცება ან ხელში ჩაგდება, აგრეთვე ვაგზლის, აეროდრომის, ნავსადგურის ან სხვა სატრანსპორტო დაწესებულებების, საწარმოს, ორგანიზაციის

եղլ՛ո հացածի, ագրետայ Ծավորութ եղլ՛ո հացածի մուսո շարապեծի մինչև շարութ, —

մաշեծա տաքուսութլեծի ալյազետու զադու հայ թլամալք.

օգոյ թոյմեցածի, հացենոլո პորտ քցութու մոյր թոնանժարո Շյուանեմեծու, ագրետայ մալալոնծի ան թոյմացենեծու, ան թոյմեցածի համապ ցամու-թցու ամ թոյելու პորցել նաժոլու մոտուեծուլո սարհանսկորիւ սամուալուեծու ազարու, ան նեցա մծմիյ Շյուազո, —

մաշեծա տաքուսութլեծի ալյազետու զադու սամուան առ թլամալք յոնեծու յոնցուսկացուու ան յամօւուր.

ամ թոյելու პորցելո դա մեռու նաժոլու մոտուեծու ցատալուսթոնեծուլո թոյմեցածի, ուս ման ցամունիցու ցրտու ան մերու პորու սոյուալու ան նեցուլու մծմիյ դա-թուանեծի, —

մաշեծա տաքուսութլեծի ալյազետու զադու եղուագան տեսությու թլամալք, յո-նեծու յոնցուսկացուու.

3. մե-8<sup>1</sup> թոյելու մեռու նաժոլու սոյուզեծու „սաքարո եղուալու կոմալու ցար-պեծի“ Շյուալու սոյուզեծու „հյունոցիու մոմհացու Շյուալու կոմալու, սանցաա ան սամունարո եղուալու ցար-պեծի, սարհանսկորիւ դաժեսեծուլու ու ընդունու եղլ՛ո հացածի“.

4. 44-ց թոյելու პորցել դա մեռու նաժոլու սոյուլու սոյուզեծու „սաքարո եղուալ-ու ցար-պեծուսատցու“ Շյուալու սոյուզեծու „հյունոցիու մոմհացու Շյուալու կոմալու կոմալու, սանցաա ան սամունարո եղուալու ցար-պեծի, սարհանսկոր-իւ դաժեսեծուլու ու ընդունու ընդունու սոյուզեծու“.

5. 54<sup>1</sup> թոյելու პորցել նաժոլու մե-3 թոյնյութու սոյուզեծու „սաքարո եղուալ-ու ցար-պեծուսատցու“ Շյուալու սոյուզեծու „հյունոցիու մոմհացու Շյուալու կոմալու կոմալու, սանցաա ան սամունարո եղուալու ցար-պեծի, սարհան-սկորիւ դաժեսեծուլու ու ընդունու սոյուզեծու“.

6. 55-ց թոյելու մե-6 նաժոլու մե-2 թոյնյութու սոյուզեծու „սաքարո եղուալ-ու ցար-պեծուսատցու“ Շյուալու սոյուզեծու „հյունոցիու մոմհացու Շյուալու կոմալու կոմալու, սանցաա ան սամունարո եղուալու ցար-պեծի, սարհան-սկորիւ դաժեսեծուլու ու ընդունու սոյուզեծու“.

7. 206-ց թոյելու սոյուզեծու „սաքարո եղուալու ցար-պեծի“ Շյուալու սոյուզեծու „հյունոցիու մոմհացու Շյուալու կոմալու, սանցաա ան սամու-նարո եղուալու ցար-պեծի, սարհանսկորիւ դաժեսեծուլու ու ընդունու սոյուզեծու“.

II. սայարութցու սեր լինենացու սաձու 1960 թլու 30 դեյքմինու յանո-նու դամբուցութուլո սայարութցու սեր սուսելու սամարտու սապիրուցու յո-ցայքու սայարութցու սեր լինենացու սաձու լինենացու 1961 թ., № 1 թու.  
II) 126-ց թոյելու III նաժոլու ցոյրու „86<sup>2</sup>“ դայմարու ցոյրու „86<sup>1</sup>“, եղու ցոյրու „242<sup>2</sup>“ Շյուալու ցոյրու ցոյրու: „242<sup>2</sup>-242<sup>3</sup>“.

III. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მიერ 1984 წლის 15 დეკემბერს  
მიღებულ საქართველოს სსრ აღმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს  
(საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1984 წ., № 12, მუხ. 420):

1. დაემატოს შემდეგი შინაარსის III<sup>1</sup> მუხლი:

„მუხლი III<sup>1</sup>. საქართველოს რესპუბლიკის საპატიო სივრცის გამოყენების  
წესების დარღვევა

საქართველოს რესპუბლიკის საპატიო სივრცის გამოყენების წესების დარ-  
ღვევა საპატიო ხომალდების ფრენისას, რაკეტების გაშვებისას, ყველანაირი  
სახის სროლის, ასაფეთქებელი სამუშაოების წარმოებისას ან სხვა საქმიანობი-  
სას, რაც დაკავშირებულია მატერიალური ობიექტების საპატიო სივრცეში აზი-  
დვასთან, გადაადგილებასა ან გაშვებასთან, — გამოიწვევს მოქალაქეთა დაგა-  
რიმებას ათიდან ას მანეთამდე იმ საგნის სასყიდლით ჩამორთმევით, რომელიც  
სამართალდარღვევის იარაღი იყო ან უამისოდ, ხოლო თანამდებობის პირებისა  
— ოციდან ორას მანეთამდე“.

2. 213-ე მუხლის I ნაწილში სიტყვები: „109-III მუხლებით“ შეიცვალოს  
სიტყვები: „109-III<sup>1</sup> მუხლებით“, ხოლო მეშვიდე ნაწილს ციფრის „III-ე“  
შემდეგ დაემატოს ციფრი „III<sup>1</sup>“.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 20 მარტი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მეორე სესიის სხდომა გაი- მართა კვირს, 15 სექტემბერს. მას უძღვებოდა უზენაესი საბჭოს თავმჯდო- მარე აკაგი ისათიანი.

სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს რესპუბლიკის პრე-  
ზიდენტი ზეიად გამსახურდია, მთავრობის წევრები, რესპუბლიკის ქალაქები-  
სა და რაონების პრეფექტები.

მთავარი საკითხი იყო თბილისში ამა წლის 2 სექტემბერს მომხდარი ინ-  
ცინდენტის შეფასება, ინცინდენტისა, რომელმაც მკვეთრად გაამწვავა საზო-  
გადაუბრივ-პლიტიკური სიტუაცია რეპუბლიკაში. პირველი ორი საათი და-  
სჭირდა კვორუმის განსაზღვრასა და სესიის მუშაობის რეგლამენტის დაზუს-  
ტებას; მას შემდეგ, რაც წინა სხდომაზე შეჩერდა საქართველოს კომპარტიისა-  
ვან არჩეულ დეპუტატთა უფლებამოსილება, უზენაესი საბჭოს 236 წევრიდან  
კენჭისყრაზე დარჩა მხოლოდ 176. რეგისტრაცია გაიარა 168 დეპუტატმა.

დეპუტატები მწვავედ განიხილავდნენ სესიის პირდაპირი ტელეტრან-  
სლაციის საჭიროების შესახებ საპარლამენტო ოპზიციის მიერ დასმულ სა-  
კითხს. ექვსი ხმის უპირატეობით უზენაესმა საბჭომ წინააღმდეგ მისცა ამას  
ხმა პროტესტის ნიშად სხდომა დატვირთვა 39 დეპუტატმა.

წინასწარ გამოცხადებულ დღის წესრიგში მოელი რიგი ცელილებების  
შეტანის შემდეგ, დეპუტატები შეუდგნენ მასში შეტანილი საკითხების განხი-  
ლვას. პირველად მიიღეს გადაწყვეტილებანი იმის შესახებ, რომ საქართვე-  
ლოს რესპუბლიკა უერთდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ  
1948 წელს გამოცხადებულ ადამიანის უფლებათა დეკლარაციას, ევროპაში  
უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ჰერიტაჟისა და ვენის საბოლოო  
დოკუმენტებს, მიიღეს აგრეთვე მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანი-  
ზაციის გენერალური მდივნის პერეს დე კუელიარისადმი და მსოფლიოს იმ  
სახელმწიფოებისადმი, რომლებმაც 70 წლის წინათ ცნეს საქართველოს დემო-  
კრატიული სახელმწიფო.

უზენაესმა საბჭომ მოახდინა ამა წლის 27 ივნისს თბილისში ხელმოწე-  
რილი საქართველოს რესპუბლიკისა და სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო-  
თაშორისი ურთიერთობის ძირითადი პრინციპების შესახებ ხელშეკრულების  
რატიფიკაცია. მიღებულია დადგენილება საქართველოში სსრ კავშირის შეია-  
რაღებული ძალების სტატუსის შესახებ, რომლის თანახმად ისინი გამოცხადე-  
ბულია საოკუპაციო სმინელრო ძალად. განიხილეს აგრეთვე საკითხი საქარ-  
თველოს ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო და საკავშირო-რესპუბლი-  
კური დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციე-  
ბის სტატუსის შესახებ, ისინი გამოცხადებულია რესპუბლიკის საკუთრებად.  
მიიღეს დადგენილება სსრ კავშირის სახელმწიფო საკუთრებაში საქართველოს  
რესპუბლიკის წილის შესახებ.

სესიამ განიხილა ზოგიერთი საკადრო და ორგანიზაციული საკითხი. უზენაესი საბჭო დაეთანხმა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობიდან თენიში სიგუას, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან ოთარ ქვილითაას, საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან გიორგი ხოშტარიას განთავისუფლებაზე.

პრეზიდენტს დაეთანხმნენ საქართველოს რესპუბლიკის პრემიერმინისტრის პირველ მოადგილედ და საგარეო საქმეთა მინისტრად მურმან ომანიძის, საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილედ ბაკურ გულუას დანაიშვნაზე. ამასთან დაკავშირებით, უზენაესმა საბჭომ შეუწყვიტა დეპუტატის უფლებამოსილება ბაკურ გულუას და გაათავსუფლა იგი უზენაესი საბჭოს მრეწველობის, ენერგეტიკის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კამინგაბმულობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან. მიღებულია გადაწყვეტილება, რომ ეს კომისია გაერთიანდეს ეკონომიკური რეფორმის კომისიასთან უზენაესი საბჭოს ეკონომიკის მუდმივ კომისიად. მის თავმჯდომარედ არჩეულია გივი თაქთაქიშვილი.

შემდეგ მიიღეს კანონი „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის გაწვევის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე. მიიღეს აგრეთვე კანონები სახელმწიფო საბაკოს, საქართველოს რესპუბლიკის საპარტო სივრცის შესახებ, განიხილეს სხვა საკითხებიც.

თბილისში მომხდარი ინციდენტის საკითხზე გამოვიდნენ დეპუტატები მათა ნათაძე, თამაზ გამყრელიძე, გაიოზ კორძაძე, აკაკი კობაძე, ნუგზარ მოლოდინაშვილი, თეიმურაზ ქორიძე, ვახტანგ ჭითავა და სხვები. პროკურატურის მიერ 2 სექტემბერს თბილისში მომხდარი ინციდენტის გამოძიების მიმდინარეობა სხდომას მოახსნა საქართველოს რესპუბლიკის პროკურორმა ვახტანგ რაზმაძემ. მომხდარს, მიზეზებს, რომლებმაც გამოიწვია მილიციას შეტაკება მომიტინგებთან, თავისი შეფასება მისცა სესიაზე გამოსულმა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ. მან, კერძოდ, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს იყო პროვოკაცია, როგორც მილიციის ცალკეულ მუშაკთა მხრივ, ისე მომიტინგეთა მხრივაც, რომელთაც ხელმძღვანელობდნენ ერთი ცენტრიდან. ეს პროვოკაცია მიზნად ისახავდა პრეზიდენტის, რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლების დისკრედიტაციას.

განიხილა რა მიტინგის გარეკვის დროს ძალის გამოყენება, უზენაესმა საბჭომ, ისევე როგორც ყველა გამომსვლელმა, თბილისში რუსთაველის მოედანზე მომხდარი ინციდენტი მიიჩნია დანაშაულად ქართველი ხალხის წინააღმდეგ. მიღებულია გადაწყვეტილება შეიქმნას კომპეტენტური საპარლამენტი კომისია ყველა რეგისტრირებული პარტიისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლობა მონაწილეობით, რომელმაც უნდა გამოიძიოს მომხდარი ინციდენტი და შესაბამისი შეფასება მისცეს მას.

Сібірімің დახურვის წინ დეპუტატთა ჯგუფის სახელით განცხადება გააკეთა უზեნაესი საბჭოს წევრმა მანან გაბაშვილმა. მასში ნათქვამია, რომ სა-  
ЗАРЛАМЕНТРУ თპოზиციას, რომელმაც სხდომა დატოვა, ეკისრება პასუხისმგე-  
ბლობა იმისათვის, რომ მან ყურად არ იღო რესპუბლიკის პრეზიდენტის მო-  
წოდება, კონსტრუქციული დიალოგი გაემართათ მასთან შექმნილი სიტუა-  
ციის სტაბილіზაციისათვის. ამ განცხადებას ხელი მოაწერეს რესპუბლიკის უზեნაესი საბჭოს სხვა წევრებმაც.

\* \* \*

19 სექტემბერს მუშაობას შეუდგა საქართველოს რესპუბლიკის პირველი  
მოწვევის უზენაესი საბჭოს მეორე სესიის მეორე სხდომა. სხდომაზე მოწვე-  
ული იყვნენ უზენაესი საბჭოს დეპუტატები გაუქმებული საქართველოს კომ-  
პარტიისაგან, მინისტრთა კაბინეტის წევრები, რესპუბლიკის ქალაქებისა და  
რაიონების პრეფექტები.

სესიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს რესპუბლიკის პრეზი-  
დენტი ზვიად გამსახურდია.

სხდომას უძლვებოდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმ-  
ჯდომარე აკაკი ასათიანი.

სხდომის გახსნის შემდეგ დეპუტატმა ირაკლი მელაშვილმა წაიკითხა  
დეპუტატთა ჯგუფის განცხადება საპარლამენტო ფრაქციის „ქარტია-91“-ის  
შექმნის შესახებ. მასთან ერთად მასში შედიან უზენაესი საბჭოს წევრები  
თედო პატაშვილი, გელა ჩორგოლაშვილი, თენგიზ ლიხამინჯია, მერაბ ურიდია,  
მალხაზ კვანტილაშვილი, გელა კობერიძე და მერაბ დვალიშვილი.

განცხადება დეპუტატთა ჯგუფის სახელით, რომლებიც წარმოადგენენ  
სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოებას, გააკეთა დეპუტა-  
ტმა დავით კუპრეიშვილმა.

საპარლამენტო ფრაქციის „დემოკრატიული ცენტრის“ სახელით განცხა-  
დება გააკეთა დეპუტატმა დავით არევაძემ.

დღის წესრიგში შესაბამისი ცვლილებებისა და დამატებების შეტანის  
შემდეგ უზენაესმა საბჭომ გადაწყვიტა დაეყო იგი ორ ნაწილად პრინციპით:  
პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხები. გადაწყდა პოლიტიკური საკითხები  
განეხილათ სესიის მუშაობის პირველ დღეს, ხოლო ეკონომიკური — მეორე  
დღეს.

უზენაესი საბჭოს სამანდატო კომისიისა და დეპუტატთა ეთიკის კომისიის  
თავმჯდომარის მოადგილის გია ფირცხალაშვილის წარდგენით ცნეს ლია ანდლუ-  
ლაძის, გორგი მარჯანიშვილისა და კანდიდ კვიცანის სადეპუტატო უფლება-  
მოსილებანი.

დისკუსიის საგან გახდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს  
წევრის სტატუსის შესახებ კანონში დამატებათა შეტანის საკითხი. იმასთან  
დაკავშირებით, რომ ეს საკითხი წინასწარ არ შეისწავლა უზენაესი საბჭოს

მუდმივმა იუტილიულმა კომისიამ, მისი განხილვა გადაიდო. ამავე მიზეზით გადაიდო რესპუბლიკის გაუქმებული კომპარტიისაგან საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა უფლებამოსილების საკითხის განხილვაც.

რესპუბლიკაში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის შესახებ საკითხზე გამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზეიად გამსახურდია. მან აღნიშნა ამ ბოლო ხანს რესპუბლიკაში, განსაკუთრებით მის დედაქალაქში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების მკვეთრი გამწვავება; გაანალიზა მიზეზები, რომლებსაც სისხლისლეგრა მოჰყვა, და ამისათვის პასუხისმგებლობა დააკისრა არა მარტო ოპოზიციას, არამედ ხელისუფლებას, რომლებიც პრაქტიკაში არ იყენებენ კანონის ძალას, რომლის უზენაესობის დამკვიდრების გარეშე სიმშვიდე საქართველოში არ იქნება. პრეზიდენტმა საპარლამენტო ოპოზიციას მოუწოდა, ნუ შეუტდება „ქუჩის“ ოპოზიციას. მან უარყო ფსევდოპოზიციის მრავალი ბრალდება როგორც თავისი მისამართით, ისე კანონიერად არჩეული ხელისუფლების მისამართითაც. ბატონშია ზეიად გამსახურდიამ ერთხელ კიდევ მოუწოდა ოპოზიციას კონსტრუქციული დიალოგისაენ და განსაკუთრებით გაუსვა ხაზი, რომ საქართველოში სხვადასხვა ძალების დაპირისპირების შედეგად არ იქნება არც გამარჯვებული და არც დამარცხებული. ასეთ შემთხვევაში შეიძლება გაიმარჯვოს მხოლოდ ცენტრმა, იმპერიამ. ამიტომ კატასტროფის თავიდან ასაცილებლად დაუყოვნებლივ უნდა გამოინახოს ურთიერთთანხმობის გზები. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ძალზე საკიროა პარლამენტის უზენარჩუნება, პირად პრეტენზიებზე ამაღლება, გაერთიანება და ერთობლივი ძალისხმევით საქართველოს ხსნა, მისი სრული დამოუკიდებლობის მიღწევა.

განსახილველ საკითხზე თავიანთი პოლიტიკური კავშირების, პარტიების, საზოგადოებების, ფრაქციების სახელით თანამოსხენებებით დამოვიდნენ დეპუტატები თეომურას ქორიძე, ვაჟა ადამია, აკაკი ასათიანი, ვახტანგ ცაგარეა შვილი, ნემო ბურჟულაძე, ნოდარ ნათაძე, გიორგი მარგანიშვილი, ემზარ გოგუაძე, თელო პაარაშვილი. შემდეგ გაგრძელდა კამათი, რომელშიც მონაწილეობდნენ დეპუტატები ავთანდილ იმნაძე, გურამ პეტრიაშვილი, მაია მაჭავარიანი.

დეპუტატების მიერ დასმულ მოელ რიგ კითხვებს უპასუხა ბატონშია ზეიად გამსახურდიამ.



20 სექტემბერს სხდომის დაწყების წინ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ აკაკი ასათიანმა გააკეთა განცხადება, რომელიც ეხებოდა წინა დღით ტელევიზიის პროგრამა „მოამბეთი“ გადაცემული სხდომის მუშაობის პირველი დღის სიუჟეტს. აღნიშნა რა, რომ მასში გამოტოვებული იყო დეპუტატთა მთელი რიგი გამოსვლები, მან დამსწრეთ აღუთქვა, რომ ტელერეპორტაჟი

სხდომის პირველი დღის შესახებ განმეორებული იქნება, მაგრამ უკვე მთლიანაა.

შემდეგ სიტყვა განცხადებისათვის ითხოვა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა დიღლარ ხაბულიანმა. მან დეპუტატებს აცნობა, რომ სამაჩაბლოს ტერიტორიაზე ოსმა ექსტრემისტებმა, რომლებსაც ადგილობრივი სეპარატისტები მეთაურობენ, ჩრდილოეთ ოსეთიდან გაღმოიყანეს ათი ჯავშანტრანსპორტიორი, რამაც შეიძლება კიდევ უფრო გაამწვავოს ამ რეგიონში შექმნილი ისედაც მწვავე სიტუაცია. მინისტრმა სთხოვა პარლამენტს, შესაბამისი შეფასება მიეცა ამ ფაქტისათვის. ამასთან აღინიშნა, რომ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზეიად გამსახურდიამ, უზენაესმა საბჭომ უნდა გამოთქვას თავისი თვალსაზრისი იმასთან დაკავშირებითაც, რომ ეგრეთწოდებულმა სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭომ მიიღო პროვოკაციული გადაწყვეტილება — სთხოვოს რუსეთის სფრა უზენაეს საბჭოს, შეუერთოს არასებული სამხრეთ ოსეთი ჩრდილოეთ ოსეთს. დეპუტატთა წინადადებით გადაწყდა შეედგინათ რუსეთის პარლამენტის სახელზე შესაბამისი განცხადების ტექსტი.

უზენაესი საბჭო გულთბილად მიესალმა ინგუშეთის დემოკრატიული პარტიის დელეგაციას.

შემდეგ განახლდა კამათი რესპუბლიკაში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის გამო. მასში მონაწილეობდნენ დეპუტატები დავით კუპრეიშვილი, ავთანდილი რცხილაძე, თეიმურაზ მდინარძე, რობერტ პეტრიაშვილი, თამაზ დიასამიძე, მედეა თუშმალიშვილი, რუსლან ღონიაძე, გელა ჩირგოლაშვილი, ავთანდილ პოპიაშვილი, ვიქტორ დომიცხვესი, მირიან მირიანაშვილი, ალექსანდრე ქობულაშვილი, დავით ბერძენიშვილი, მერაბ ურიდია, ირინე ტალიაშვილი, მაია ნათაძე, ლია კაცაძე, კოტე ფირცხალვა, ავაკი ასათიანი, თამაზ გამურელიძე, საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი ჭონი ხეცურანი.

ამ საკითხის მწვავე განსჯის შედეგები შეაგამა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზეიად გამსახურდიამ. კერძოდ, მან კვლავ აღნიშნა, თუ რაოდენ საჭიროა კონსტრუქციული დიალოგი პარლამენტის ოპოზიციასთან და კანონის ენაზე ლაპარაკი ფსევდოპოზიციასთან. პრეზიდენტმა ცალსახად განაცხადა, რომ მხოლოდ ასეთი გზით შეიძლება თავიდან ავიცილოთ სამოქალაქო ომი, დავამკვიდროთ სამოქალაქო მშვიდობა და თანხმობა რესპუბლიკაში. ბატონშია ზეიად გამსახურდიამ მოიხოვა, რომ ყველაზ უკლებლივ სცეს პატივი კონსტიტუციას და განუხრელად დაიცვას პრეზიდენტის მიერ შემუშავებული კანონები, ცნოს მათი უზენაესობა. ამ ეტაზზე, თქვა მან, სიმშვიდე და წესრიგი საქართველოში შეიძლება და კიდეც უნდა იქნეს მიღწეული მხოლოდ პარლამენტისა და პრეზიდენტის ერთობლივი ძალისხმევით.

საათზე ნაცენდ ხანს გრძელდებოდა სესიის საღამოს სხდომა. მან მუშაობა შეწყვიტა რესპუბლიკის პრეზიდენტის ზეიად გამსახურდიას წინადადებით, რომელმაც დეპუტატებს აცნობა, რომ ამავე დროს რესპუბლიკის მოედანზე მიმდინარე „ქუჩის“ ოპოზიციის მიტინგზე გაისმის მოწოდებანი შტურმით აიღონ მთავრობის სახლი, გაათავისუფლონ საპყრობილებიდან პატიმრები.

პრეზიდენტმა შესთავაზა უზენაეს საბჭოს შეწყვიტოს სესიის მუშაობა, დეპუტატებს კი — გაემართონ მიტინგზე, რათა თავიღან აიცილონ შესაძლო აქციები.

მანამ კი, სანამ სესია შეწყვეტდა მუშაობას, დეპუტატებმა მოისმინეს რესპუბლიკაში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის შესახებ საკითხის გამო რეზოლუციის ორი ალტერნატიული პროექტი, რომელიც შემოიტანეს საპარლამენტო ფრაქცია „დემოკრატიულმა ცენტრმა“ და ბლოკმა „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“. აზრთა გაზიარების შემდეგ უზენაესმა საბჭომ გადაწყვიტა მოამზადოს რეზოლუციის შეთანხმებული ტექსტი და სესიის მორიგ სხდომაზე წარმოადგინოს იგი დასამტკიცებლად. შემდეგ მოისმინეს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის დილარ ხაბულიანისა და გენერალური პროკურორის ვახტანგ რაზმაძის ინფორმაცია 1991 წლის 2 სექტემბერს თბილისში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით.